მშვიდობისა და საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლი ქალები

მარინე (მაკა) ვასაძე

საკვანძო სიტყვები: *ლისისტრატე, არისტოფანე, კომედია, სცენოგრაფია, საზოგადოება*

ჩვენს საზოგადოებაში სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკურის გარდა, მწვავედ დგას მენტალური პრობლემები. სწორედ მენტალურ პრობლემებს ეხებოდა 2015 წელს რუსთაველის თეატრში დავით საყვარელიძის მიერ დადგმული „ლისისტრატე". ლაშა ბუღაძის პიესას ბერძენი კომედიოგრაფის, არისტოფანეს „ლისისტრატესთან" საერთო მხოლოდ სახელწოდება აქვს და ალბათ, ისიც, რომ ანტიკური ხანის ბერძენი კომედიოგრაფისა და ჩვენი თანამედროვე ავტორის პიესებში, მებრძოლი სულის, გამჭრიახი გონების მქონე ქალის (ზოგადად) პორტრეტებია დახატული.

„არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე" საუბარია პროტო-ფემინისტურ იდეალებზე. ქალები მიისწრაფვიან სიტყვის თავისუფლებისკენ, მათ კი უპირისპირდებიან სიძულვილის ენით (δείνωση), ბრუტალურად აიძულებენ გაჩუმდნენ და ძალადობით ემუქრებიან. არისტოფანე ამტკიცებს, რომ სიმართლის თქმის პრინციპი არ არის და არც უნდა იყოს სქესობრივად დიფერენცირებული. ქალები მოითხოვენ ერთიანობას, სიმართლის თქმას ირჩევენ ქალაქის კეთილდღეობისთვის, მშვიდი და ჯანსაღი ურთიერთობებისთვის. მამაკაცების მსგავსად, მათ ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით საზოგადოების წინაშე. იმ ფონზე, როდესაც ათენის საჯარო ცხოვრებიდან ხდება ქალების მარგინალიზაცია, მათთვის სიმართლის თქმა რჩება მხოლოდ ერთადერთ საშუალებად მშვიდობისა და გადარჩენისათვის. ქალები მოითხოვენ, რომ მამაკაცებმა ცნონ მათი მნიშვნელობა ათენის დემოკრატიულ ცხოვრებაში. ისინი არღვევენ სიჩუმეს მშვიდობის მოლოდინით. თუმცა, მათი მხრიდან მშვიდობის დამყარების პოლიტიკა საკმაოდ კომიკური გამომხატველობითი ფორმებითაა გამოხატული. არისტოფანეს კომედიებში ქალები იბრძვიან, რათა მათ მიერ მართული ოჯახები და მამაკაცების მიერ მართული ქალაქები გააერთიანონ ერთი „ოცნების" ქვეშ და ეს არის - მშვიდობა და თანასწორობა".[1]

ძვ. წ. აღ-მდე 411 წ. დაწერილ კომედიაში, ლისისტრატე (ომის გამანადგურებელი) და მისი თანამოაზრეები, მამაკაცების მიერ დაწყებული პელოპონესის (ათენსა და სპარტას შორის ომი) დაუმთავრებელი ომის დასრულებისთვის ერთიანდებიან და გადაწყვეტენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, ამ ძმათამკვლელ, ყოვლად უაზრო ბრძოლას წერტილი დაუსვან. ლისისტრატეს იდეით, ქალებმა კაცებს ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ და ქმრები იქნებიან ეს თუ საყვარლები, უარი უთხრან სარეცელის გაყოფაზე. ამ იდეის გარშემო ლისისტრატე მთელი საბერძნეთის ქალებს აერთიანებს. ისინი აკროპოლისის კედლებს უკან გამაგრდებიან და სანამ მამაკაცები ზავს არ დადებენ, მანამდე დათქმულ ფიცს არ გადადიან. საბოლოოდ, ქალები იმარჯვებენ, ბერძენი მამაკაცები დაზავდებიან და ომსაც წერტილი დაესმება.

ლაშა ბუღაძის პიესაში ამ ამბიდან 25 წლის შემდეგ, მოქმედება ლისისტრატესა და მისი თანამებრძოლების მიერ შექმნილ, მათი აზრით იდეალური წყობის, ქალაქ-სახელმწიფოში მიმდინარეობს. მმართველობა ქალების ხელშია, ე. წ. მატრიარქატია დამყარებული, სამაგიეროდ ქვეყანაში მშვიდობა სუფევს, არავინ არავისთან აღარ ომობს. ქალების მიერ შექმნილ ამ იდეალურ სამყაროს, ქალაქს მისი ციხესიმაგრის კედლებს მიღმა არსებული, ნაკლებად განვითარებული, არაცივილური, ჯერ კიდევ პატრიარქატის მმართველობის ქვეშ არსებული სახელმწიფოებისგან საშიშროება ემუქრება. ძალადობის ვირუსი, განსაკუთრებით კი ქალებზე ძალადობისა, შეიძ-

1 ნემსაძე, თავისუფლად მეტყველი, https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1604303648_79-82.pdf

ლება ამორძალებით კარგად დაცულ ციხესიმაგრეში შემოძვრეს და მაშინ ყველაფერი დაიღუპება, მათი ბრძოლა, შრომა წყალში ჩაიყრება და მათ მიერ შექმნილი ცივილური ქალაქი-სახელმწიფოც იმ გაპარტახებულ, დანგრეულ, ჩამორჩენილ ქვეყნად იქცევა, როგორიც ადრე იყო და როგორებიც დღეს, მის გარშემო არსებული სამეზობლო ქვეყნებია.

დრამატურგმა და რეჟისორმა ჩვენი თანამედროვე ყოფა და ჩვენს საზოგადოებაში არსებული მენტალური პრობლემატიკა განზოგადებულად ასახეს სცენაზე. სპექტაკლი, ძირითადად გენდერულ ბალანსსა და ბოლო პერიოდში, საოცრად მომრავლებულ, ქალებზე ძალადობის მტკივნეულ საკითხებზეა. ასევე, სახელმწიფო მმართველობის ფორმებსა თუ სტრუქტურებსაც ეხება.

„შემთხვევითი არაა, რომ „ლისისტრატეს" ყველაზე ხშირად სწორედ ტოტალიტარული, მილიტარისტულ-მასკულინური დიქტატორული რეჟიმები კრძალავდნენ, ერთი მხრივ, ამ პიესის პაციფიზმის, მეორე მხრივ კი ძლიერი და ეფექტური ფემინისტური მუხტის გამო, რადგან, ვთქვათ, იმავე ნაცისტურ (სექსისტურ) გერმანიაში, სადაც ფსევდო-გმირების, ნეო-ზიგფრიდების ქმნადობით იყვნენ დაკავებული, იქიდან აუცილებლად უნდა განედევნათ ჰუმანური, მშვიდი და მტკიცე ლისისტრატე. იქ, სადაც პროპაგანდის მინისტრი გებელსი ყეფდა ჯანმრთელი და ომებში ქმედითი მანქანა-კაცების თითქმის ქარხნული წესით დამზადების მნიშვნელობაზე, ლისისტრატეებს არც არავინ მოუსმენდა. თუმცა, დროებით. ლისისტრატეების სრული დადუმება შეუძლებელი აღმოჩნდა".[2]

ლაშა ბუღაძის პიესა პრობლემატური, თანადროული, იუმორითა და გროტესკით დაწერილი ნაწარმოებია, თუმცა მაინც სქემატური, პლაკატური ხასიათისაა. რეჟისორმა დავით საყვარელიძემ მისი ტექსტი გადაამონტაჟა, ბევრი რამ ამოაგდო, უფრო კომპაქტური და სასცენო ენისათვის შესაბამისი გახადა. პიესაშიც და სპექტაკლშიც 9 ძირითადი პერსონაჟია: 1-ლი ქალი, 2-ე ქალი, 3-ე ქალი (4-ე ქალის დედა), 4-ე ქალი, 1-ლი დედა, 2-ე დედა, 3-ე დედა (კინესიასის დედა), კინესიასი და ლისისტრატე (პიესაში არის 6 ქალისგან შემდგარი ქოროც). უკვე პერსონაჟთა ჩამონათვალიდან ჩანს ავტორის გროტესკული პოზიცია თავის ნაწარმოებში გამოსახული ტიპაჟებისადმი. სწორედ ტიპაჟები შექმნა ლაშა ბუღაძემ, ხოლო რეჟისორმა და შემოქმედებითმა დასმა ეს ტიპაჟები გააცოცხლეს სცენაზე და მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი სახეები შექმნეს.

ლაშა ბუღაძის მიერ სპექტაკლის პრესრელიზში მითითებული შენიშვნის მიუხედავად, მოქმედების დრო არისტოფანეს პიესაში მომხდარი ამბებიდან 25 წლის მერე ხდება. პიესაშიც და სპექტაკლშიც ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებაა ასახული. სიტუაციები, მოვლენები, დიალოგები აბსოლუტურად თანამედროვეა და მოგვაგონებს ქართულ (და არა მარტო) სინამდვილეში არსებულ რეალობას. რეჟისორმა და სპექტაკლში მონაწილე მსახიობებმა - ნინო კასრაძემ, ნანა ლორთქიფანიძემ, მანანა აბრამიშვილმა, ქეთი ხიტირმა, რუსკა მაყაშვილმა, მანანა გამცემლიძემ, თამთა ინაშვილმა, ეკა მოლოდინაშვილმა, ია სუხიტაშვილმა, ლაშა ჯუხარაშვილმა - შექმნეს ტიპაჟები, რომლებშიც მაყურებელი ადვილად ამოიცნობს „ნაცნობ-მეგობრებს". რა თქმა უნდა, პიესიდან გამომდინარე, სცენაზე წარმოდგენილი ტიპაჟები ირონიზებულია. რეჟისორი და მსახიობები ირონიითა და იუმორით ქმნიან - ქალებისა თუ დედების და ერთადერთი, ცრუ იდეალების მქონე ახალგაზრდა, გაბურძგნულწვერიანი, მოძალადე მამაკაცის პერსონაჟებს. არა აქვს მნიშვნელობა, პროგრესულად მოაზროვნე, ძლიერ, დამოუკიდებელ ქალთა სახეებია ეს თუ მონური ფსიქოლოგიის მქონე ქალებისა. რეჟისორმა ირონია და იუმორი თანაბრად გადაანაწილა ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის. პაროდიამდე აიყვანა ზღვარგადასულ ქალთა უფლებების დამცველ თუ მონური ფსიქოლოგიის მქონე ქალთა ტიპაჟები, რომლებიც ასე მრავლად არიან ჩვენს გარშემო. ჩვენ რეალობაში არსებული ე. წ. „ინტელექტუალ" ქალთა და „მმკ"-ს დედათა აქტივობები ნამდვილად კომიკურ ელფერს იძენს. ხანდახან კი, ამ ორ „ძალას" შორის დაპირისპირებას თანსდევს დრამატული შედეგები.

მხატვარმა ირაკლი ავალიანმა სპექტაკლისთვის დახვეწილი, გემოვნებით შესრულებული სცენოგრაფია შექმნა. პიესაში მიმდინარე მოვლენები გალავნით გარშემორტყმულ ქალაქ-სახელმწიფოში ვითარდება. ირაკლი ავალიანმა სცენაზე თანამედროვე

2 ბუღაძე, გახდით ლისისტრატეები, https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas

ჟალუზი-ფარდებისაგან შექმნილი დიდი წრე შეკრა. ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლისას წრე ბრუნავს და ხან ლისისტრატეს თანამებრძოლ, პროგრესულად მოაზროვნე, ბრძოლით მოპოვებული თავისუფალი დედის და მისი სიყვარულის გამო, საზღვარგარეთ „გენიალურ მაგისტრატურაზე“ სწავლის უარისმთქმელი ქალიშვილის სახლს და ეზოს წარმოადგენს, ხან „დედების“ სამფლობელოს, ხან კი ქალაქ-სახელმწიფოს გალავნის შემოგარენს. სცენა არ არის გადატვირთული დეკორაციით. სცენოგრაფიაში მხატვარმა სულ რამდენიმე რეკვიზიტი გამოიყენა: მაგიდა, 3-4 სკამი, სავარძელი. ამ რეკვიზიტს კონკრეტული დანიშნულება აქვს და მსახიობებს, ამა თუ იმ ეპიზოდის გათამაშებისას, ატმოსფეროს შექმნაში ეხმარება. იგივე შეიძლება ითქვას პოლინა რუდჩიკის მიერ შექმნილ კოსტიუმებზე. მან „ქალებს“ მოხდენილი, ფერადი, მოდური კოსტიუმები ჩააცვა, „დედები“ და კინესიასი კი შავებით შემოსა. აღსანიშნავია სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება, მოცარტი და თანამედროვე ელექტრონული მუსიკის ნაზავი მაყურებელს შესაბამის განწყობას უქმნის.

სპექტაკლში მონაწილე მსახიობები, განსაკუთრებით ქალები, დამახასიათებელი ჟესტიკულაციით, პლასტიკით, მეტყველების მანერით ქმნიან თავიანთ ტიპაჟებს. მაგალითად, ნინო კასრაძე, რომლის პერსონაჟსაც თავისუფალი, ემანსიპირებული ქალის სტატუსის მოპოვებისთვის „დიდი ბრძოლების“ გადატანა მოუხდა, აწ გარდაცვლილ ქმართან. ქმარი სვამდა, მისი ფეხმძიმობის დროს საყვარელი გაიჩინა, ორ ოჯახად ცხოვრობდა, მთვრალი მის სიცოცხლეს იარაღით ემუქრებოდა და ცივ შხაპში აყენებდა ხოლმე. ასეთი „ნამდვილი“ მამაკაცის მოსარჯულებლად, ნინო კასრაძის პერსონაჟი ორთაბრძოლის გაკვეთილების შემდეგ, მეუღლეს ფიზიკურად უსწორდებოდა, ბოლოს კი ქმართან (მამაკაცთან) ბრძოლაში გაიმარჯვა და იგი „ერთგულ ფინიად“ გარდაქმნა. ირონიულობის გასამძაფრებლად, რეჟისორმა და მსახიობმა, ჰაეროვანი, ვარდისფრებში გამოწყობილი, მოსიყვარულე და მზრუნველი დედის ტიპაჟი შექმნეს. ქალიშვილის ბედით შეშფოთებული ნინო კასრაძის ქალი, როდესაც შვილს შეცდომისგან ასარიდებლად, მაგალითად, თავისი და მამამისის ყოფა-ცხოვრებას უყვება, ამ ჰაეროვანი, მოსიყვარულე ქალის ბაგეებიდან მოთხრობილი, თავიდან მასზე ქმრის, შემდეგ კი მისი ქმარზე ფიზიკური ძალადობის ამბებს, დისონანსი მის გარეგნობას, ქცევასა და მონათხრობში იმდენად აშკარაა, რომ ძალაუნებურად მაყურებელში სიცილის გრძნობას აღძრავს. რუსკა მაყაშვილის ქალიშვილში დედამისის და მისი მეგობარი თანამოაზრეების, სკოლაში გაბეზრებული ლისისტრატეს და მისი თანამებრძოლების გმირობის ისტორია, როგორ დაამარცხეს „ქალებმა“ მოძალადე „მამაკაცები“, პროტესტის გრძნობას იწვევს. გარდა ამისა, მეგობრებში პირველი შვილის სტატუსის მქონეს: თავისუფლება, კარგი განათლება, ზრუნვა, სათუთი მოპყრობა გარანტირებული ჰქონდა, ახლა კი შეყვარებულობის გარდა, მას იზიდავს, აინტერესებს კინესიასის „აკრძალვები“, რომლებიც მისთვის რომანტიკულობის ელფერსაც იძენს. რუსკა მაყაშვილი პროტესტის გამო, დედასთან გაუცხოებულ, თანამედროვე ახალგაზრდის ტიპაჟს ქმნის. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალიშვილი თავის თავს მამასთან აიგივებს და დედას პირდაპირ მიახლის კიდეც: მე მამა ვარ, ჩვენი პრობლემა ის არის, რომ შენ ჩემში მამას ხედავო. დრამატურგი და რეჟისორი, „ქალთა“ და „დედათა“ კომიკური ტიპაჟების შექმნისას, მაყურებელს იმაზეც მიუთითებენ, რომ ყველაფერი ზღვარგადასული მახინჯ ფორმებად ყალიბდება და პაროდიული ხდება.

ნანა ლორთქიფანიძე და ქეთი ხიტირი - ვარცხნილობით, მიმიკით, ჟესტიკულაციით, ლაპარაკის მანერით ჩვენს რეალობაში არსებულ „თანამედროვე“ ქალთა პროტოტიპებს ქმნიან. ისინი, შეიძლება ითქვას, ლოზუნგებით საუბრობენ. თამთა ინაშვილის, მანანა აბრამიშვილის, მანანა გამცემლიძისა და ეკა მოლოდინაშვილის „დედები“ მაყურებელში „მმკ“-ს აქტიურ ქალთა ასოციაციას ბადებენ. ისინი ცრუ ტრადიციების, დამახინჯებული რწმენის ერთგულ, „კერპთაყვანისმცემელთა“ კომიკურ პერსონაჟებს ქმნიან. ია სუხიტაშვილის ლისისტრატე უკვე ასაკში შესული, ბრძენი ქალის ტიპაჟს ანსახიერებს, რომელსაც, მართალია, ეშინია, ბრძოლით მოპოვებული „იდეალური“ ქალაქი-სახელმწიფო თავზე არ დაემხოს, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობს ორი დაპირისპირებული ბანაკი რამენაირად დააშოშმინოს, დააბალანსოს. მისი პერსონაჟი, როგორც პიესაში, ასევე სპექტაკლში ცოტათი პლაკატურია.

„ქალების“ დახასიათებით: „სუროგატ, მარცხის მანქანას, დაბღვერილ ფალიკურ ინფუზორიას“ ახალ-

გაზრდა მსახიობი ლაშა ჯუხარაშვილი თამაშობს. ქალაქ-სახელმწიფოს მიღმა არსებული არაცივილურობის, ჩამორჩენილობის, მარტოხელა დედის მიერ ცრუ ტრადიციებზე გაზრდილი, გალავნის მიღმა მყოფი მოძღვრის მრევლის, დედიკოს წვეროსანი ვაჟკაცის, საშიში „ვირუსის“ განსახიერება უნდა ყოფილიყო კინესიასი. ალბათ, რეჟისორს ცოტა მეტი უნდა ემუშავა მსახიობთან ამ ტიპაჟის სრულყოფილად წარმოჩენისთვის. ია სუხიტაშვილის ლისისტრატე, როგორც უკვე აღვნიშნე, ცდილობს ორი დაპირისპირებული ძალის დაბალანსებას და შეყვარებული ახალგაზრდებისთვის ხელშეწყობას, გააფთრებული „ქალებისა“ და „დედებისგან“ მათ დაცვას. ამასთანავე, ქალაქ-სახელმწიფოში „ვირუსის“ შემოჭრისაც ეშინია. ყველა ძალ-ღონეს ხმარობს, მოსალოდნელი სოციალურ-პოლიტიკური დაპირისპირებანი ააცილოს ახალგაზრდა შეყვარებულ წყვილს. იგი მათ სიყვარულს დალოცავს, დააქორწინებს კიდეც და დამოძღვრავს, რომ სიყვარული და თავისუფლება არაფერზე გაცვალონ. გადის დრო და დედიკოს აღზრდილი, წვეროსანი ვაჟკაცი ცოლს ფიზიკურად უსწორდება. ლიბერალი „ქალების“ ინტუიციური, წინასწარი შიში მართლდება. მამაკაცები ისევ ქალებზე ძალადობენ. ფინალში იმედგაცრუებული ლისისტრატე გაოგნებული მიმართავს დარბაზს: „ნუთუ შევცდი“? ლაშა ბუღაძის აზრით: „მაგრამ, ახლა სწორედ ის ეტაპია, როცა არავინ უნდა გაჩუმდეს, როცა ჩაგრული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს მარტო დესპოტის პირისპირ. მოძალადეები ერთად უნდა შევაჩეროთ.ლისისტრატეებს უნდა დავეხმაროთ!..“.[3]

დავით საყვარელიძის რეჟისურა გამოირჩევა სისადავით, დახვეწილობით. იგი არ მიმართავს მეტაფორულ ენას. აქ ყველაფერი პირდაპირ არის ნათქვამი. ლაშა ბუღაძის პიესა, მართალია პაროდიულ-პუბლიცისტურია, როცა კითხულობ ძალიან სასაცილოა, მაგრამ სქემატური და პლაკატური ტექსტია. რეჟისორმა იგი სცენურ ტექსტად აქცია და მსახიობებთან ერთად სცენური სიცოცხლე შესძინა. დავით საყვარელიძის სათქმელი ნათელი და გასაგებია. იგი წინააღმდეგია ყოველგვარი ძალადობის, ზღვარგადასული, ექსტრემალური „ტრადიციულობის“ და „ლიბერალობის“. ნუთუ არ შეიძლება ადამიანებმა: ქალებმა და კაცებმა ჰარმონიაში იცხოვრონ და მათი მთავარი იდეალი სიყვარული, თანალმობა, მშვიდი თანაცხოვრება იყოს?

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბუღაძე ლ., გახდით ლისისტრატეები, https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas (30.04.22.)
- ნემსაძე მ., თავისუფლად მეტყველი ქალები პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1604303648_79-82.pdf (30.04.22.).

3 ბუღაძე, გახდით ლისისტრატეები, https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas

სცენები სპექტაკლიდან „ლისისტრატე“, რეჟისორი - დავით საყვარელიძე,
პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე (რუსთაველის ეროვნული თეატრი, 2015)
SCENES FROM “LYSISTRATA”, STAGED BY DAVID SAKVARELIDZE, PLAY BY LASHA BUGADZE
(RUSTAVELI NATIONAL THEATER, 2015).

სცენები სპექტაკლიდან „ლისისტრატე“, რეჟისორი - დავით საყვარელიძე, პიესის ავტორი - ლაშა ბუღაძე (რუსთაველის ეროვნული თეატრი, 2015)
SCENES FROM “LYSISTRATA”, STAGED BY DAVID SAKVARELIDZE, PLAY BY LASHA BUGADZE (RUSTAVELI NATIONAL THEATER, 2015).

WOMEN FIGHTING FOR PEACE AND THEIR RIGHTS

Marine (Maka) Vasadze

Keywords: *Lysistrata, Aristophan, comedy, scenography, society*
Illustrations: *pp. 15-16*

In our society, in addition to social, economic, political problems, there are also acute mental problems. Lysistrata, staged by David Sakvarelidze at the Rustaveli Theater in 2015, was related precisely to mental problems. Lasha Bugadze's play and Lysistrata of comic playwright Aristophanes have only one thing in common, the name, and maybe also that the plays of the Greek comic playwright and our contemporary author depict portraits of women (in general) with a steadfast spirit and a shrewd mind.

"Aristophanes' comedy Lysistrata tells about proto-feminist ideals. Women strive for freedom of speech, but they are confronted with hate speech (δείνωση), they are brutally forced to remain silent and threatened with violence. Aristophanes argues that the principle of truth is not subject to and should not be differentiated by gender. Women demand unity, prefer to speak the truth for the well-being of the city, for peaceful and healthy relationships. Like men, they make a huge contribution to the community. Against the background of women's marginalization from public life in Athens, telling the truth remains the only means to achieve peace and survival. Women demand men to recognize their importance in the democratic life of Athens. They break the silence in anticipation of peace. However, their peaceful policy is expressed in a rather comical way. In the comedies of Aristophanes, women fight to unite families ruled by them and cities ruled by men, under one 'dream' of peace and equality."[1]

In the comedy written in 411 BC, Lysistrata (Army Disbander) and her associates unite to end the endless Peloponnesian war started by men, and decide to put an end to this fratricidal, completely meaningless struggle at any cost. According to Lysistrata, women should boycott men, husbands or lovers, denying them any sex. Lysistrata unites women from all over Greece around this idea. They gather behind the walls of the Acropolis and do not break their oath until the men conclude a truce. Ultimately, the women win, the Greek men make peace, and the war ends.

In Lasha Bugadze's play, 25 years after this story, the action takes place in the city-state created by Lysistrata and her comrades. Governance is in the hands of women, peace reigns in the country, no one is at war with anyone anymore. The ideal world created by women is threatened by underdeveloped, uncivilized states, still under patriarchy, located outside the walls of the city fortress. The virus of violence, especially violence towards women, may break into the fortress guarded by Amazons. And then everything will perish, their struggle, their labor will be wasted and the civilized city-state created by them will turn into a destroyed, ruined backward country, as it used to be and what the neighboring countries around it are today.

The playwright and director resent our modern existence and mental social problems onstage in a generalized way. The play concerns gender balance and sensitive issues of violence against women that are all too common in recent times. It also refers to the forms or structures of state governance.

"It is no coincidence that Lysistrata was most often suppressed by totalitarian, militaristic-masculine dictatorial regimes, on the one hand, because of the play's pacifism, and on the other hand, because of a strong and effective feminist vigor, since—say, in Nazi (sexist) Germany—where they were busy creating pseudo-heroes, neo-Siegfrieds, the humane, calm and firm Lysistrata should be expelled. Where Propaganda Minister Goebbels boasted about the importance of building healthy, war-ready, almost factory-made human machines, no one

1 ნემსაძე, თავისუფლად მეტყველი. (M. Nemsadze – Free Speaker)
https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1604303648_79-82.pdf

would listen to Lysistrata. But only temporarily. It turned out to be impossible to completely shut up Lysistrata." [2]

Lasha Bugadze's play is a problematic, contemporary work written with humor and grotesque, but it is still schematic and poster-like. The director David Sakvarelidze edited the modern text, cut out a lot, made it more compact and suitable for the stage text. In the play, as well as in the performance there are 9 main characters: 1st woman, 2nd woman, 3rd woman (mother of the 4th woman), 4th woman, 1st mother, 2nd mother, 3rd mother (mother of Kinesias), Kinesias and Lysistrata (there is also a choir of 6 women in the play). Just the list of characters shows the author's grotesque attitude towards the types depicted in his work. Lasha Bugadze created exactly the types, and the director and the creative team revived these types on the stage and created characters well-known to the audience.

Despite the remark made by Lasha Bugadze in the press release of the play (the action takes place 25 years after the events in Aristophanes' play), the play, as well as the performance, reflect our modern life. Situations, events, dialogues are absolutely modern and remind us of Georgian (and not only) reality. The director and the actors of the performance—Nino Kasradze, Nana Lortkipanidze, Manana Abramishvili, Keti Khitiri, Ruska Makashvili, Manana Gamtsemlidze, Tamta Inashvili, Eka Molodinashvili, Ia Sukhitashvili, Lasha Jukharashvili—created characters in which the audience can easily recognize their acquaintances and friends. Of course, based on the play, the characters on stage are ironic. The director and the actors use irony and humor to create the characters of women or mothers and the only young abusive man with tousled beard and false ideals. It does not matter whether they are progressive, strong, independent women or women with a slave mentality. The director evenly distributes irony and humor between the two opposing camps. He has brought to a parody the types of excessive defenders of women's rights, or women with a slave psychology, that abound around us. In our reality, the activities of the so-called "intellectual" women and mothers of the UOP (the Union of Orthodox Parents) take on a truly comical form. Sometimes the result of confrontation between these two "forces" is dramatic.

Artist Irakli Avaliani created a refined, tastefully designed scenography for the play. The events of the play take place in a city-state enclosed by a fence. Irakli Avaliani has assembled a large circle of modern jalousie on the stage. The circle sometimes represents the house and the yard of Lysistrata's comrade, a progressive thinker, a mother, who gained her freedom by struggle and her daughter, who refused to study abroad for a "brilliant Master's degree" because of love; sometimes the Mothers' estate; and sometimes the surroundings of the city-state fence. The scene is not overloaded with decorations. The artist used only a few props in the scenography: a table, 3-4 chairs, an armchair. These props have a specific purpose and help the actor create an atmosphere during this or that episode. The same can be said about the costumes created by Polina Rudchik. She dressed the "women" in elegant, colorful, fashionable costumes, while the "Mothers" and Kinesias wore black. The musical arrangement is also noteworthy. The mixture of Mozart and modern electronic music creates an appropriate mood for the audience.

The actors of the play, especially women, create their characters with characteristic gestures, plasticity, and manner of speech. For example, Nino Kasradze, whose character had to go through "great struggles" with her now deceased husband to obtain the status of a free, emancipated woman. Her husband drank, had a mistress during her pregnancy, lived with two families, while drunk threatened her life with a gun and sometimes threw her into a cold shower. To tame such a "real" man, Nino Kasradze's character physically beat her husband after martial arts lessons and finally won the battle with her husband (man) and turned him into a "loyal pug-dog". To sharpen the irony, the director and the actress created the character of an airy, loving and caring mother, dressed all in pink. Concerned about the fate of her daughter, the woman of Nino Kasradze for an example tells about herself and her father's life in order to avoid mistakes. And when this airy, loving woman tells the story of her husband's violence over her, and then her violence over her husband, the dissonance between her appearance, behavior and the story is so obvious that it makes the audience laugh.

The stories of Ruska Makashvili's mother and her friends and the boring stories of the heroism of Lysistrata

2 ბუღაძე, გახდით ლისისტრატეები. (L. Bugadze. Become Lystratas)
https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas

and her comrades about how "women" defeated violent "men", evoke protest in the daughter. In addition, as the first child among friends, she was guaranteed freedom, good education, care, gentle treatment. And now, in addition to falling in love, she is attracted by Kinesias' "prohibitions", which seem romantic to her. Ruska Makashvili creates the image of a modern young woman alienated from her mother because of her protest. It is also noteworthy that the daughter identifies herself with her father and even throws this in her mother face: I am my father, our problem is that you see my father in me. The playwright and the director, creating the comic characters of women and mothers, also draw the viewer's attention to the fact that everything transforms into ugly forms and becomes parodic.

Nana Lortkpinadze and Keti Khitiri have created prototypes of "modern" women in our reality, by their hairstyles, mimicry, gestures, manner of speaking. It may be said that they speak with slogans. "Mothers" of Tamta Inashvili, Manana Abramishvili, Manana Gamtsemlidze and Eka Molodinashvili evoke the association of the UOP (the Union of Orthodox Parents) active women. They create comic characters of "idolaters" with false traditions and distorted beliefs. Ia Sukhitashvili's Lystrata is the image of a wise old woman who is afraid that the "ideal" city-state, gained as a result of the struggle would not collapse, but at the same time she tries to calm down and balance the two opposing camps. Her character, both in the play and in the performance, is a bit poster-like.

Young actor Lasha Jukharashvili plays a character, according to the description of Women "a surrogate, a failure machine, a gloomy phallic infusoria". Kinesias was supposed to be the embodiment of uncivilization, backwardness, mammy's bearded boy of a single mother, who grew up on false traditions, a dangerous "virus" behind the fence of the city-state. Perhaps the director should have worked a little more with the actor to create the perfect character. Ia Sukhitashvili's Lysistrata, as I have already mentioned, is trying to balance the two opposing forces and to support young people in love, to protect them from angry "Women" and "Mothers". At the same time, she fears that the "virus" will invade the city-state. She makes every effort to protect the young couple from the expected socio-political confrontation. She blesses their love, even marries them, and teaches them that love and freedom cannot be exchanged for anything. Time passes, and the bearded mammy's boy beats his wife. Intuitive, primal fear of liberal women is proved to be correct. Men still abuse women. In the finale, stunned and disappointed Lysistrata addresses the audience: "Did I make a mistake?" According to Lasha Bugadze:

"But now it is precisely the stage when no one should be silent, when the oppressed should not be left alone before the despot. We must stop the abusers together. We need to help Lysistrata." [3]

David Sakvarelidze's directing style is distinguished by simplicity, refinement, he does not use metaphorical language. Everything is said here directly. Although Lasha Bugadze's play is parody-publicist, and is very funny when you read it, but the text is schematic and poster-like. The director turned it into a stage text and together with the actors brought it to life. David Sakvarelidze's idea is clear and understandable. He opposes all forms of violence, extreme "traditionalism" and "liberalism". Can't people (women and men) live in harmony? Can't their main ideals be love, compassion, peaceful coexistence?

REFERENCES:

1. ბუღაძე ლ., გახდით ლისისტრატეები. (L. Bugadze, Become Lysistratas)
2. https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas (last checked 30.05.21)
3. ნემსაძე მ., თავისუფლად მეტყველი ქალები პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში. (M. Nemsadze, Free-speaking women in the political life.) https://moambe.atsu.edu.ge/uploads/files/1604303648_79-82.pdf (last checked 30.05.21)

3 ბუღაძე, გახდით ლისისტრატეები. (L. Bugadze. Become Lystratas)
https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2015/12/become-lysistratas